ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11926121001**

თარიღი:**01/05/2026**

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 21 იანვრის #ბ119. 11926021001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფისათვის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2026 წლის 21 იანვრის #ბ119.11926021001 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების მიზნით კორპორაციული ქსელით უზრუნველყოფა განხორციელდეს ,,წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან, შემდეგი ყოველთვიური ლიმიტის ფარგლებში:

ა) საკრებულოს თავმჯდომარეს - 50 (ორმოცდაათი) ლარი;
ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს - 30 (ოცდაათი) ლარი;
გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - 30 (ოცდაათი) ლარი;
დ) საკრებულოს აპარატის უფროსს - 30 (ოცდაათი) ლარი;
ე) განყოფილების უფროსებს - 25 (ოცდახუთი) ლარი;
ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს - 20 (ოცი) ლარი;
ზ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
თ) საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
ი) საორგანიზაციო განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი;
კ) სამდივნო განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს - 20 (ოცი) ლარი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი